

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები საკრედიტო ხელშეკრულება No -----

ქ. -----

---.---.20--

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:

(---/---/--- დან ---/---/--- ჩათვლით პერიოდში - ფიქსირებული. -- % წლიური;)¹

(---/---/--- დან ---/---/--- ჩათვლით პერიოდში - ფიქსირებული. -- % წლიური;

---/---/--- დან ---/---/--- ჩათვლით პერიოდში - ინდექსირებული. -- % წლიური. რეფინანსირების განაკვეთს დამატებული -- %;)²(---/---/--- დან ---/---/--- ჩათვლით პერიოდში - ინდექსირებული. -- % წლიური. რეფინანსირების განაკვეთს დამატებული -- %;)³**რეფინანსირების განაკვეთის შემთხვევაში:**(ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე, ავტომატურად გაზარდოს/შემციროს საპროცენტო განაკვეთი იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენი პროცენტული პუნქტითაც გაიზარდება/შემცირდება რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი, მაგრამ არანაკლებ წლიური --- %-ისა და არაუმეტეს წლიური --- %-ისა.)⁴კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: -- %; (კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი ინდექსის ოდენობა უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში;)⁵

ფინანსური ხარჯები:

ყოველთვიური შენატანები ((ძირითადი თანხა და პროცენტი): ----.--- ლარი. ვადის ბოლოს შენატანი ----.--- ლარი.)⁶ (თანდართული გრაფიკის შესაბამისად.)⁷ (შენატანები შეიცვლება ინდექსის ცვლილების შესაბამისად;)⁸

დაზღვევის ხარჯები:----.---

კრედიტის გაცემის საკომისიო: ---.---

თანხის განაღდებას საკომისიო: ---.---

გადარიცხვის საკომისიო: ---.---

უზრუნველყოფის ხელშეკრულების რეგისტრაციის ხარჯი: ---.---

ნოტარიული ხარჯი: ---.---

სესხის გაცემის საკომისიო განხილვის საკომისიო: ---.---

¹ თუ სესხი გაიცემა მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით;² თუ სესხი გაიცემა ფიქსირებული და ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთით (შერეულ განაკვეთიანი სესხი);³ თუ სესხი გაიცემა მხოლოდ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთით;⁴ თუ სესხის საპროცენტო განაკვეთი მიიღებულია რეფინანსირების განაკვეთზე⁵ მხოლოდ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებზე⁶ თუ სესხის გრაფიკით განსაზღვრული შენატანები თანაბარია⁷ თუ სესხის გრაფიკით განსაზღვრული შენატანები არათანაბარია⁸ მხოლოდ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებზე

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია:

კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა: ---.--- ლარი

მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: ---.--- ლარი

კრედიტის და საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა: --- თვე;

მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. დეტალური ინფორმაციისათვის გთხოვთ იხილოთ „დამატებითი სახელშეკრულებო პირობების“ მუხლი 8¹, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge.⁹

მომხმარებელს არ აქვს უფლება უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მიხედვით.¹⁰

კრედიტის ვადამდე დაფარვის საკომისიო: ა) ლარში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან იგივე ვალუტაში, ან უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან ნებისმიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტით რეფინანსირების შემთხვევაში მსესხებელი ფიზიური პირის, ასევე, მსესხებელი იურიდიული პირის, რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკის მიმართ არ აღემატება ორ მილიონ ლარს (ექვივალენტი სხვა ვალუტაში), წინსწრებით დაფარული კაპიტალის არაუმეტეს 0.5%. ბ) ლარში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან იგივე ვალუტაში, ან უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან ნებისმიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტით რეფინანსირების შემთხვევაში მსესხებელი იურიდიული პირის, რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკის მიმართ აღემატება ორ მილიონ ლარს (ექვივალენტი სხვა ვალუტაში), ასევე, ვალდებულების მოცულობის მიუხედავად, მსესხებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ საკუთარი სახსრებით წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში – (ცვლადი საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში, ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის მიხედვით: ა) 0% - 6 თვეზე ნაკლები ვადის შემთხვევაში; ბ) 0,5% 6-დან 24 თვემდე ვადის შემთხვევაში; გ) 1% - 24 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში;)¹¹ (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში, ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის მიხედვით: ა) 0% - 6 თვემდე ვადის შემთხვევაში; ბ) 0.5% - 6-დან 12 თვემდე ვადის შემთხვევაში; გ) 1% - 12-დან 24 თვემდე ვადის შემთხვევაში; დ) 2 % - 24 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში;)¹¹ (ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის მიხედვით: ა) 0.5% - 6 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში და 0% - 6 თვეზე ნაკლები ვადის შემთხვევაში;)

პროგრამის მოქმედების პერიოდში დაფარვის შემთხვევაში 0%¹¹

სესხზე საშელავათო პერიოდის არსებობისას, პირველ რიგში დაიფარება საშელავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო სარგებელი/პირგასამტეხლო/ნებისმიერი სახის ხარჯი სრულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ვადაგადაცილების პირგასამტეხლო: სესხის ვადაგადაცილებული შენატანიდან ძირითადი თანხის --- % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური

⁹ თუ მსესხებელს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

¹⁰ თუ მსესხებელს არ აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

¹¹ სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ან/და ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“-ს მიერ დაფინანსებული პროექტის შემთხვევაში

სანქციის ოდენობის დაანგარიშება ყოველი ვადის გადაცილებისას არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას;

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით, ან ელექტრონული ფოსტით, ან ინტერნეტ-ბანკით, ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ან სატელეფონო ზარით.

(ეფექტური საპროცენტო განაკვეთი რეფინანსირების განაკვეთის 5 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: -- %;)¹²

მომხმარებელს, უკმაყოფილების ან შენიშვნის არსებობის შემთხვევაში, უფლება აქვს განაცხადოს პრეტენზია ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით, ასევე მიმართოს პრეტენზიის წარდგენის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მექანიზმებს. პრეტენზიაზე რეაგირება ხდება მისი მიღებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში;

გაეცანით მომხმარებლისათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – [www. nbg.gov.ge/cp](http://www.nbg.gov.ge/cp) – და ცხელ ხაზზე 032 2406406.

¹² მხოლოდ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებზე

საკრედიტო ხელშეკრულება No -----

ქ. -----

--.--.20--

მუხლი 1.

- 1.1. ბანკი: სს "პროკრედიტ ბანკი"; საიდენტიფიკაციო კოდი: 204851197;
- 1.2. მსესხებელი/მსესხებლები: (სახელი, გვარი/დასახელება, (პ.გ. / ს.გ. -----) მისამართი)
- 1.3. ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში (კონტექსტის შესაბამისად), ტერმინი მსესხებელი შეიძლება მოიცავდეს როგორც ერთ მსესხებელს, ასევე, მსესხებელთა ჯგუფს ერთად (თანამსესხებლებს). მსესხებლები/თანამსესხებლები წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს. თანამსესხებლები, ვთანხმდებით შემდეგზე:¹³

მუხლი 2.

ბანკი გაცემს მსესხებელზე კრედიტს, ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით, ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ (ს/კ 404923785) (შემდგომში „სააგენტო“) მიერ საგრანტო დაფინანსების საფუძველზე განხორციელებული „შელავათიანი აგრო კრედიტის“ პროექტის (შემდგომში „პროექტი“) ფარგლებში. ¹⁴

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სს „საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაცია“ (ს/კ 404814126) (შემდგომში „კორპორაცია“) მიერ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის #365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „ანარმოვ საქართველოში“ პროექტის (შემდგომში „პროექტი“) ფარგლებში. ¹⁵

2.1. კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა: ----- ლარი;

მსესხებლები თანხმდებიან მასზე, რომ სესხის სრული თანხა ჩაირიცხება (მსესხებლის სახელი და გვარი-ს) ბანკში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე (მიმდინარე ანგარიშის ნომერი), რასთან დაკავშირებითაც ბანკს აძლევენ შეუქცევად დავალებას. ¹⁶

2.2. საპროცენტო განაკვეთი კრედიტის თანხაზე: -- % წლიური.

2.3. კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:

(--/--/----- დან --/--/----- ჩათვლით პერიოდში - ფიქსირებული. -- % წლიური); ¹⁷

(--/--/----- დან --/--/----- ჩათვლით პერიოდში - ფიქსირებული. -- % წლიური;

--/--/----- დან --/--/----- ჩათვლით პერიოდში - ინდექსირებული. -- % წლიური. (რეფინანსირების განაკვეთს)

დამატებული -- %); ¹⁸

(--/--/----- დან --/--/----- ჩათვლით პერიოდში - ინდექსირებული. -- % წლიური. (რეფინანსირების განაკვეთს)

დამატებული -- %); ¹⁹

რეფინანსირების განაკვეთის შემთხვევაში:

(საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი. სესხის გაცემის მომენტისათვის რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთია -- %. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე, ავტომატურად გაზარდოს/შეამციროს საპროცენტო განაკვეთი იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენი პროცენტული პუნქტითაც გაიზარდება/შემცირდება რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი, მაგრამ არანაკლებ წლიური --- %-ისა და არაუმეტეს წლიური --- %-ისა. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების განაკვეთი (მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი) საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერნეტ გვერდიდან: www.nbg.gov.ge.)

¹³ თანამსესხებლობის შემთხვევაში

¹⁴ თუ სესხის გაცემა ხდება შელავათიანი აგრო კრედიტის ფარგლებში

¹⁵ თუ სესხის გაცემა ხდება სს „საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაციის“ მიერ თანადაფინანსებული პროექტის ფარგლებში

¹⁶ თანამსესხებლობის შემთხვევაში

¹⁷ თუ სესხი გაიცემა მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით;

¹⁸ თუ სესხი გაიცემა ფიქსირებული და ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთით (შერეულ განაკვეთიანი სესხი);

¹⁹ თუ სესხი გაიცემა მხოლოდ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთით;

- 2.4. **ყოველთვიური შენატანები** ((ძირითადი თანხა და პროცენტი): ----.-- ლარი; **ვადის ბოლოს შენატანი** ----.-- ლარი;)²⁰ (თანდართული გრაფიკის შესაბამისად.)²¹ (შენატანები შეიცვლება ინდექსის ცვლილების შესაბამისად.)²²
- 2.5. მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: -- ლარი;
- 2.6. კრედიტის და საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა: --- თვე;
- 2.7. კრედიტის მთლიანი თანხიდან ფინანსური ხარჯების გამოკლებით დარჩენილი გასატანი თანხის ოდენობა: --;
- 2.8. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: -- %; (**კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დამეგობით, რომ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი ინდექსის ოდენობა უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.**)²³
(**ეფექტური საპროცენტო განაკვეთი რეფინანსირების განაკვეთის 5 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: - %;**)²⁴
- 2.9. კრედიტის გაცემის საკომისიო: ---.
- 2.10. დაბლვევის ხარჯი: --
- 2.11. თანხის განაღდების საკომისიო: ---.
- 2.12. გადარიცხვის საკომისიო: ---.
- 2.13. უზრუნველყოფის ხელშეკრულების რეგისტრაციის ხარჯი: --
- 2.14. ნოტარიული ხარჯი: --
- 2.15. სესხის გაცემის საკომისიო: --
- 2.16. კრედიტის ვადაზე დაფარვის საკომისიო: ა) ლარში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან იგივე ვალუტაში, ან უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან ნებისმიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტით რეფინანსირების შემთხვევაში მსესხებელი ფიზიური პირის, ასევე, მსესხებელი იურიდიული პირის, რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკის მიმართ არ აღემატება ორ მილიონ ლარს (ექვივალენტი სხვა ვალუტაში), წინსწრებით დაფარული კაპიტალის არაუმეტეს 0.5%. ბ) ლარში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან იგივე ვალუტაში, ან უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან ნებისმიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტით რეფინანსირების შემთხვევაში მსესხებელი იურიდიული პირის, რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკის მიმართ აღემატება ორ მილიონ ლარს (ექვივალენტი სხვა ვალუტაში), ასევე, ვალდებულების მოცულობის მიუხედავად, მსესხებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ საკუთარი სახსრებით წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში - (ცვლადი საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში, ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის მიხედვით: ა) 0% - 6 თვეზე ნაკლები ვადის შემთხვევაში; ბ) 0,5% 6-დან 24 თვემდე ვადის შემთხვევაში; გ) 1% - 24 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში;) (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში, ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის მიხედვით: ა) 0% - 6 თვემდე ვადის შემთხვევაში; ბ) 0,5% - 6-დან 12 თვემდე ვადის შემთხვევაში; გ) 1% - 12-დან 24 თვემდე ვადის შემთხვევაში; დ) 2 % - 24 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში;) (ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის მიხედვით: ა) 0,5% - 6 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში და 0% - 6 თვეზე ნაკლები ვადის შემთხვევაში;)
- პროგრამის მოქმედების პერიოდში დაფარვის შემთხვევაში 0%**²⁵
- 2.17. სესხზე საშელავათო პერიოდის არსებობისას, მისი წინასწარ ნაწილობრივი ან სრული დაფარვის შემთხვევაში, პირველ რიგში დაიფარება საშელავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო სარგებელი/პირგასამტეხლო/ნებისმიერი სახის ხარჯი სრულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 2.18. **ვადაგადაცილების პირგასამტეხლო:** სესხის ვადაგადაცილებული შენატანიდან ძირითადი თანხის --- % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობის დაანგარიშება ყოველი ვადის გადაცილებისას არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას.
- 2.19. კრედიტის ტიპი: (საცალო სესხი)(ბიზნეს სესხი)
- 2.20. მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

²⁰ თუ სესხის გრაფიკით განსაზღვრული შენატანები თანაბარია

²¹ თუ სესხის გრაფიკით განსაზღვრული შენატანები არათანაბარია

²² მხოლოდ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებზე

²³ მხოლოდ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებზე

²⁴ მხოლოდ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებზე

²⁵ სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ან/და ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“-ს მიერ დაფინანსებული პროექტის შემთხვევაში

დეტალური ინფორმაციისათვის გთხოვთ იხილოთ „დამატებითი სახელმძღვანელო პირობების“ მუხლი 8¹, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge.²⁶ მომხმარებელს არ აქვს უფლება უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განწესის მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მიხედვით.²⁷

2.21. მსესხებელისათვის (პროგრამის მიზნებისათვის მსესხებელი არის ბენეფიციარი) ცნობილია რომ წინამდებარე სესხი გაცემულია „აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის“ (საქართველოს მთავრობის 04.06.2026 N285 დადგენილება. შემდგომში „პროგრამა“) ფარგლებში. მსესხებელი ასევე გაცნობილია პირობას, რომ პროგრამის ფარგლებში, აგროთანადაფინანსების ამოქმედება და ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ (შემდგომში „სააგენტო“) მიერ თანადაფინანსების თანხის ჩარიცხვა მოხდება მხოლოდ მას შემდეგ რაც სააგენტო დაადასტურებს ბენეფიციარის მიერ თანადაფინანსების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულებას და ბენეფიციარის მიერ მოხდება სესხის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული მინიმალური შენატანის გადახდა.

2.22. მსესხებელი იღებს ვალდებულებას სააგენტოს მიერ აგროთანადაფინანსების თანხის ჩარიცხვამდე თავად დაფაროს წინამდებარე ხელშეკრულების გრაფიკით განსაზღვრული სააგენტოს მიერ გადასახდელი თანხის წილი. ხოლო, სააგენტოს მიერ აგროთანადაფინანსების თანხის ჩარიცხვის შემდეგ, ბანკი გადარიცხავს სააგენტოს მიერ ჩარიცხულ თანხას კლიენტის ანგარიშზე.²⁸

მუხლი 3.

3.1. ბანკი გასცემს მსესხებელზე კრედიტს, ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით.

3.2. კრედიტის მიზანი:

3.3. პირგასამტეხლო:

3.3.1. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

3.3.2. პირგასამტეხლოს დარიცხვა ვალდებულების სრულ შესრულებამდე გრძელდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბანკი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის შეწყვეტს ხელშეკრულებას.

3.4. მსესხებელსა და სააგენტოს შორის პროექტის ფარგლებში გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სააგენტო უზრუნველყოფს წინამდებარე კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას -- %-ის ოდენობით, რაც არ გამოირიცხავს მსესხებლის ვალდებულებას, პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე სააგენტოს მიერ მიზნობრივი თანადაფინანსების ნებისმიერი მიზნით შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში (მ.შ. ყადაღა, ინკასო და სხვ), უზრუნველყოს კრედიტის და მასზე დარიცხული პროცენტების გადახდა, ასევე მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული მოცულობით შესრულება.²⁹

3.4. მსესხებელსა და კორპორაციას შორის პროექტის ფარგლებში გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, კორპორაცია უზრუნველყოფს წინამდებარე კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას --%-ის ოდენობით, რაც არ გამოირიცხავს მსესხებლის ვალდებულებას, პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე კორპორაციის მიერ მიზნობრივი თანადაფინანსების ნებისმიერი მიზნით შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში (მ.შ. ყადაღა, ინკასო და სხვ), უზრუნველყოს კრედიტის და მასზე დარიცხული პროცენტების გადახდა, ასევე მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული მოცულობით შესრულება.³⁰

* ქვემოთ მოცემული ტექსტი შეეხება მხოლოდ საქართველოს მთავრობის 27.12.2021წ. N2384 განკარგულებით დამტკიცებული „ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან/და გადაიარაღების ხელშეწყობის პროგრამა“-ის ფარგლებში გაცემულ სესხებს.

3/4: დამატებითი პირობები საკრედიტო ხელშეკრულებებისათვის რომლებიც გაფორმებულია საქართველოს მთავრობის 27.12.2021წ. N2384 განკარგულებით დამტკიცებული „ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან/და გადაიარაღების ხელშეწყობის პროგრამა“-ის (შემდგომში „პროექტი“) ფარგლებში.

ა) ტრანში - ბანკის მიერ პროექტის ფარგლებში ერთსა და იმავე მსესხებელზე ერთი მიმდინარე კრედიტის ნაწილ-ნაწილ, ეტაპობრივი გაცემა, რომელიც არ წარმოადგენს პარალელურ კრედიტს;

²⁶ თუ მსესხებელს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

²⁷ თუ მსესხებელს არ აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

²⁸ 2.21 და 2.22 პუნქტები გამოიყენება საქართველოს მთავრობის 04.06.2026 N285 დადგენილებით განსაზღვრული „აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გაცემული სესხებისათვის.

²⁹ თუ სესხის გაცემა ხდება შედგაობითი აგრო კრედიტის ფარგლებში

³⁰ თუ სესხის გაცემა ხდება სს „საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაციის“ მიერ თანადაფინანსებული პროექტის ფარგლებში

ბ) პროექტი – სააგენტოს მიერ საქართველოს მთავრობის 27.12.2021წ. N2384 განკარგულებით დამტკიცებული „ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან/და გადაიარაღების ხელშეწყობის პროგრამა“ (შემდგომში „პროექტი“);

გ) სააგენტო – ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“ (ს/კ 404923785) მისი ყველა უფლებამონაცვლე და სამართალმემკვიდრე;

3/4.1. თუ ბანკსა და მსესხებელს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კრედიტის ნაწილ-ნაწილ (ტრანშებად) გაცემა, ბანკის მიერ კრედიტის ყოველი მომდევნო ნაწილის გაცემა წარმოებს მხოლოდ უკვე გაცემული წინა კრედიტის ხელშეკრულების (ასევე გაცემული წინა კრედიტის მიზნობრიობის), მსესხებლის მიერ შესრულების შემთხვევაში.

3/4.2. მსესხებელი ვალდებულია ჯეროვნად და დროულად შეასრულოს ბანკს, მსესხებელს და სააგენტოს შორის გაფორმებული სამმხრივი შეთანხმება, მასში შეტანილი ნებისმიერი და ყველა ცვლილება/დამატებით.

3/4.3. მსესხებელი ადასტურებს, რომ ბანკმა მას გააცნო პროექტის, 3/3.2. პუნქტში მითითებული განკარგულების და ბანკს, მსესხებელს და სააგენტოს შორის გაფორმებული სამმხრივი შეთანხმებით განსაზღვრული პირობები. მსესხებელი ვალდებულია ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, დათქმულ ვადებში შეასრულოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

3/4.4. მსესხებელს გაცნობიერებული აქვს, რომ მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების, ბანკს, მსესხებელს და სააგენტოს შორის გაფორმებული სამმხრივი შეთანხმების და/ან 3/3.2. პუნქტში მითითებული განკარგულების ნებისმიერი პირობის დარღვევას შესაძლებელია მოყვას სააგენტოს თანადაფინანსების შეწყვეტა.

3/4.5. სააგენტოს მხრიდან დაფინანსების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა და დაუდგინოს მსესხებელს წინამდებარე ხელშეკრულებისაგან განსხვავებული პირობები.

3/4.6. მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას და ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, რომ ბანკმა მსესხებელთან დამატებითი შეთანხმების გარეშე გადასცეს სააგენტოს პროექტის ფარგლებში მსესხებლის მიერ კრედიტების/სესხების გაცემის მოთხოვნის მიზნით წარდგენილი განაცხადების, წარდგენილი საბუთებისა და გაცემული კრედიტების/სესხების, მისი უზრუნველყოფის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, ხელშეკრულება და დოკუმენტაცია, მათ შორის: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები, გაცემული კრედიტების/სესხების მიზნობრიობა, ოდენობა, ვადა და საპროცენტო განაკვეთი, მიმდინარე კრედიტების/სესხების მოცულობა, დარიცხულ პროცენტი, კრედიტთან/სესხთან დაკავშირებული გადახდების ვადები (მათ შორის დაფარვის გრაფიკი) და გადახდების დროულობა, დავალიანების ნაშთი, უზრუნველყოფის საგანი და მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ასევე სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგები და სხვა ნებისმიერ სახის ინფორმაცია. აგრეთვე შეუფერხებლად მოიპოვოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია სააგენტოსაგან.

3/4.7. მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს მიზნობრივი თანადაფინანსების შეწყვეტის/შეჩერების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

* ქვემოთ მოცემული ტექსტი შეეხება მხოლოდ საქართველოს მთავრობის 30.05.2014წ. N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის პროექტის ფარგლებში გაცემული სესხებს.

(სპეციალური პირობები „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის პროექტის ფარგლებში გაცემული სესხებისთვის:

3/4.1. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაცემულ სესხზე კორპორაციის თანადაფინანსება ვრცელდება შემდეგი პირობებით:

ა) თუ სესხი გაცემულია „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის პროექტის ფარგლებში ნებისმიერი საქმიანობის დასაფინანსებლად სესხის საპროცენტო განაკვეთი შეიძლება იყოს როგორც ფიქსირებული, ასევე ფიქსირებულ-ინდექსირებული ან ინდექსირებული.

ბ) თუ სესხის საპროცენტო განაკვეთი ინდექსირებულია, ასეთ შემთხვევაში, კორპორაცია პროგრამის ფარგლებში გაცემულ კრედიტზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას ახორციელებს კრედიტის გრაფიკის შესაბამისად, კრედიტის ვადის განმავლობაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 3 (სამი) პროცენტის შედეგად დარჩენილი ოდენობით, ხოლო პროგრამის დანართ #1-ში განსაზღვრული 38.11.0 (არასახიფათო ნარჩენების შეგროვება), 38.12.0 (სახიფათო ნარჩენების შეგროვება), 38.21.0 (არასახიფათო ნარჩენების დამუშავება და მოცილება), 38.22.0 (სახიფათო ნარჩენების დამუშავება და მოცილება), 38.31.0 (ნამტვრევების დემონტაჟი), 38.32.0 (დახარისხებული მასალების უტილიზაცია) ქვეკლასის კოდებისთვის - სესხის ვადით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთის ოდენობით. კორპორაცია ყოველთვიური თანადაფინანსების თანხის დათვლას ახორციელებს გრაფიკით გათვალისწინებული წინა გადახდიდან მიმდინარე გადახდამდე გასული პერიოდისთვის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდის დღეს არსებულ სესხის საწყის ძირზე იმ დღეს მოქმედი რეფინანსირების განაკვეთის გამოყენებით.

გ) თუ სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, ან ფიქსირებულ-ინდექსირებულია, ასეთ შემთხვევაში, იმ პერიოდში როდესაც სესხზე არსებული პროცენტი არის ფიქსირებული, რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება არ გამოიწვევს სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას, რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებით შეიცვლება მხოლოდ კორპორაციას თანადაფინანსების მოცულობა. ყოველგვარი გაურკვევლობის გამოსარიცხად, კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს სესხის საპროცენტო განაკვეთის ბანკის წილი.

დ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში შეცვლილი განაკვეთის ასახვა მოხდება არაუგვიანეს ცვლილების მომდევნო სამუშაო დღიდან.

ე) პროგრამის ფარგლებში კრედიტ(ებ)ი გაიცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში;

3/4.2. იმ შემთხვევაში, თუ კორპორაცია ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტს თანადაფინანსებას, მსესხებელი ვალდებულია გააგრძელოს სესხის სრული გადახდა, მათ შორის სესხის პროცენტის იმ ნაწილის გადახდა, რომელსაც იხდიდა კორპორაცია თანადაფინანსების შეწყვეტამდე. ამასთან, კორპორაციის მიერ თანადაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებით, მსესხებელთან შეთანხმების გარეშე შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების და მისი დანართ(ებ)ის ის პუნქტები (გარდა საპროცენტო განაკვეთისა), რომლებიც განსაზღვრული იყო როგორც სტანდარტული პირობებიდან გამონაკლისი კორპორაციის თანადაფინანსების არსებობის გამო. შეცვლილი პირობები შესაბამისობაში იქნება ბანკში იმ დროს მოქმედ სტანდარტულ პირობებთან.

3/4.3. კლიენტი ვალდებულია სრულად შეასრულოს კრედიტის მიზნობრიობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კორპორაცია ბენეფიციარს შეუწყვეტს მიზნობრივ თანადაფინანსებას.

3/4.4. პროგრამის ფარგლებში გაცემულ/გასაცემ სესხებზე აკრძალულია სესხის გადახდის თარიღის ავტომატური ცვლილება მსესხებლის მიერ სესხის ერთჯერადად/მრავალჯერადად წინსწრებით დაფარვის გამო.

3/4.5. იმისათვის, რომ კორპორაციამ თანადაფინანსებით გათვალისწინებული ვალდებულებები შეასრულოს, აუცილებელია კლიენტმა სრულად და ჯეროვნად შეასრულოს მისი ყოველთვიური ვალდებულება ბანკის წინაშე, კერძოდ, დაფაროს სესხის კაპიტალი და პროცენტი არსებული გრაფიკის თანახმად.

3/4.6. ბენეფიციარი ვალდებულია განუხრელად დაიცვას წარმოების დანყების და პროფილის შენარჩუნების ვალდებულებები, რომელიც მოცემულია 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებაში (მასში შეტანილი ცვლილება-დამატებებით, დანართებით და გარდამავალი დებულებებით). ბენეფიციარი ადასტურებს, რომ სესხის გაცემამდე ბანკმა მოახდინა წინამდებარე პუნქტში მითითებული ვალდებულებების შესახებ მისი სრულყოფილი ინფორმირება და მისთვის გასაგებად დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულებების შინაარსი, შესრულების პირობები და დარღვევის, შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შესაძლო სამართლებრივი შედეგები.

3/4.7. მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას და ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, რომ ბანკმა მსესხებელთან დამატებითი შეთანხმების გარეშე გადასცეს კორპორაციის მსესხებელის და პროექტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა ბანკსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული შეთანხმებითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციისა, რაზეც ბენეფიციარი წინასწარ იძლევა თანხმობას.)

* ქვემოთ მოცემული ტექსტი შეეხება მხოლოდ საქართველოს მთავრობის 26.08.2024წ. N277 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „ქართული ბოსტნეული სათბურებიდან“ (შემდგომში „პროგრამა“) ფარგლებში გაცემული სესხებისათვის.

3.9. დამატებითი პირობები საქართველოს მთავრობის 26.08.2024წ. N277 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „ქართული ბოსტნეული სათბურებიდან“ (შემდგომში „პროგრამა“) ფარგლებში გაცემული სესხებისათვის:

ა) მსესხებელისათვის ცნობილია, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით სესხი გაიცემა პროგრამის ფარგლებში და ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“) უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია ბანკის მიერ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის შესახებ. შესაბამისად, სააგენტოს მოთხოვნის მიხედვით, ბანკი მიაწვდის სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას.

ბ) სააგენტო უფლებამოსილია ბანკთან წინასწარი შეთანხმებით მოითხოვოს საკრედიტო დოკუმენტაცია/საკრედიტო ხელშეკრულების ასლი/სესხის უზრუნველყოფის ხელშეკრულების ასლი/სესხთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დოკუმენტაცია.

გ) მსესხებელისათვის ცნობილია, რომ მას შეუწყდება დაფინანსება, თუ დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებას, ზემოაღნიშნულ დადგენილებას, პროგრამის პირობებს ან/და სამმხრივ შეთანხმებას. შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მსესხებელი ადასტურებს, რომ გაცნობილია პროგრამის პირობებს, მთავრობის დადგენილებას და სამმხრივ შეთანხმებას მათში შეტანილ ნებისმიერ და ყველა ცვლილება-დამატებებს, ასევე იღებს ვალდებულებას პერიოდულად გაეცნოს მთავრობის დადგენილებასა და პროგრამაში შეტანილ ცვლილება-დამატებებს და ღებულობს მათი შესრულების ვალდებულებას.

დ) სააგენტოს თანადაფინანსება მოქმედებს მსესხებელის მიერ გრაფიკით გათვალისწინებული მინიმალური შენატანის გადახდის შემთხვევაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შესაბამისად, თანადაფინანსებით სარგებლობისათვის მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს გრაფიკით გათვალისწინებული მინიმალური შენატანი.

ე) იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტს თანადაფინანსებას, მსესხებელი ვალდებულია გააგრძელოს სესხის სრული გადახდა, მათ შორის სესხის პროცენტის იმ ნაწილის გადახდა, რომელსაც იხდიდა სააგენტო თანადაფინანსების შეწყვეტამდე. ამასთან, სააგენტოს მიერ თანადაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებით, მსესხებელთან შეთანხმების გარეშე შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების და მისი დანართ(ებ)ის ის პუნქტები (გარდა საპროცენტო განაკვეთისა), რომლებიც განსაზღვრული იყო როგორც სტანდარტული პირობებიდან გამონაკლისი სააგენტოს თანადაფინანსების არსებობის გამო. შეცვლილი პირობები შესაბამისობაში იქნება ბანკში იმ დროს მოქმედ სტანდარტულ პირობებთან.

ვ) სააგენტოს დაფინანსების მოცულობა განისაზღვრება წარდგენილი პროექტის (სესხის თანხის) ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 500 000 ლარისა, ამასთან აღნიშნული თანხიდან ნაწილი მსესხებელის მიერ გამოყენებული უნდა იყოს სესხის 24 თვის საპროცენტო განაკვეთის სრული დაფინანსებისათვის.

ზ) პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მისაღებად და თანადაფინანსების შესანარჩუნებლად, მსესხებელს საკუთრებაში უნდა გააჩნდეს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული უძრავი ქონება ან/და სახელმწიფოსგან/მუნიციპალიტეტისგან იჯარით მიღებული უძრავი ქონება (იჯარის დარჩენილი პერიოდი პროგრამაში განაცხადის წარდგენისას უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 (ათი) წელს, იჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში), რომელზეც განხორციელდება სესხის თანხის ინვესტირება.

3.6. შეთანხმებული უზრუნველყოფა და სოლიდარული თავდებობა:

3.6.1. მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი ხელშეკრულებებით:

3.6.2. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი მსესხებლის ვალდებულებები მსესხებელთან ერთად შესრულდება ასევე სოლიდარული თავდებ(ებ)ის მიერ, შემდეგი ხელშეკრულებ(ებ)ით დადგენილი წესით და საფუძველზე:

3.6.3. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფის საგნის დაზღვევა სავალდებულოა.

3.7. მსესხებლები კისრულობენ ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულებები შეასრულონ ერთად, სოლიდარულად და თანაბარმნიშვნელოვნად, აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში და პირობებით, ისე რომ მათ მიიღონ მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში. აღნიშნულის საფუძველზე, ბანკს უფლება ეძლევა საკუთარი შეხედულებისამებრ, მთლიანი ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მსესხებელს/სოლიდარულ მოვალეს.

3.8. ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მთლიანი ვალდებულება შეადგენს კრედიტის/სესხის/საბანკო პროდუქტის ძირითად თანხას, დარიცხულ პროცენტებს, პირგასამტეხლოს, ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულებით გამოწვეულ ზიანს, ქონების მოძიებაზე, შენახვაზე და მის რეალიზაციაზე ბანკის მიერ განეულ დანახარჯებს, მათ შორის სასამართლო, სასამართლოს გარეშე, არბიტრაჟის და სააღსრულებო ხარჯებს, აგრეთვე პირდაპირ და არაპირდაპირ ზიანს.

3.9. ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს გადასახდელი თანხის და გადასახდელ თანხაზე დარიცხული პროცენტების, ასევე ნებისმიერი სხვა გადასახდელისა და პირგასამტეხლოს/ჯარიმების დაფარვა ნებისმიერი მსესხებლის მიმდინარე ანგარიშზე, შემნახველი ანაბრის ანგარიშებზე და/ან მის/მათ სხვა ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხების უაქცეპტოდ (ნებისმიერი სოლიდარული მოვალის დამატებითი თანხმობის გარეშე) ჩამოწერის გზით (მათ შორის, ვალდებულების თანხისგან განსხვავებულ ვალუტაში). ამასთანავე, თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაწერი თანხა განსხვავდება ვალდებულების ვალუტისაგან, ბანკი უფლებამოსილია ანგარიშის მფლობელი ნებისმიერი სოლიდარული მოვალის ხარჯზე მოახდინოს ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად.³¹

მუხლი 4.

4.1. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია თავისუფალი წერილობითი ან სტანდარტული წერილობითი პრეტენზიის ფურცლის შევსებით, ასევე ელექტრონული ფორმით (რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ოფისებში) ან ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge პრეტენზიის ფორმის დარეგისტრირებით. პრეტენზიაზე რეაგირება ხდება მისი მიღებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში, რომელსაც განიხილავს ბანკში მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.

4.2. კრედიტის დაბრუნება და პროცენტების გადახდა ხორციელდება კრედიტის დაფარვის გრაფიკის მიხედვით (დანართი N1).

³¹ 3.7. – 3.9. პუნქტები: თანამსესხებლობის შემთხვევაში

- 4.3. შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს პირობების მსესხებლის სასარგებლოდ შეცვლისას.
- 4.4. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მხოლოდ წერილობითი ფორმით. ცვლილების/დამატების შეტანისთვის წერილობითი ფორმის დაცვა და/ან ცვლილების შესახებ შეტყობინება სავალდებულო არ არის როდესაც კეთდება მომხმარებლის სასარგებლო ცვლილება. ასევე, ბანკი უფლებამოსილია ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეიტანოს ცვლილება ან/და დამატება თუ მსესხებლის, თანამსესხებლის, სოლიდარული თავდების (თუ სესხი უზრუნველყოფილია სოლიდარული თავდებით) ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის მიერ არ შესრულებულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.
- 4.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე მოქმედებს და ვრცელდება „დამატებითი სახელშეკრულებო პირობები“, რომლითაც ასევე განსაზღვრულია მხარეთა სხვადასხვა სახის უფლება-მოვალეობანი და სახელშეკრულებო პირობები. „დამატებითი სახელშეკრულებო პირობები“ წარმოადგენს ამ ხელშეკრულების ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს და სავალდებულოა შესასრულებლად. „დამატებითი სახელშეკრულებო პირობები“ განთავსებულია როგორც ბანკის ოფისებში, ასევე ბანკის ინტერნეტ გვერდზე www.procreditbank.ge. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელი ადასტურებს, რომ გაეცნო „დამატებითი სახელშეკრულებო პირობებს“, ეთანხმება, პრეტენზია არ გააჩნია და კისრულობს მათი შესრულების ვალდებულებას.
- 4.6. ბანკი უფლებამოსილია, „დამატებითი სახელშეკრულებო პირობებში“ მოცემული წესით და მიზნებიდან გამომდინარე, დაამუშავოს მსესხებლის შესახებ ნებისმიერი (მათ შორის, საბანკო, კომერციული, პერსონალური და ბიომეტრული) მონაცემები, მათ შორის: გამოითხოვოს ინფორმაცია სს „კრედიტინფო საქართველოდან“, ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოდან“, სს „საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაციიდან“ გადასცეს მსესხებლის და/ან წინამდებარე ხელშეკრულების/კრედიტის შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია სს „კრედიტინფო საქართველოს“, ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“, სს „საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაციას“, მიიღოს მსესხებლის პერსონალური მონაცემები სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან“.
- 4.7. თუ კრედიტის მოცულობა აღემატება 2 000 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, მსესხებელი ვალდებულია, მიმართოს ბანკს წერილობითი ფორმით, კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვამდე 14 კალენდარული დღით ადრე.
- 4.8. ნებისმიერ ელექტრონულ ხელმოწერას, ხელმოწერის მიერ წინამდებარე გარიგების დადასტურებას ინტერნეტ ბანკინგით, შეთანხმებული მეილით ან/და მხარეთა შორის შეთანხმებული ნებისმიერი სხვა სანდო საკომუნიკაციო არხით, აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა და გარიგება ძალაშია დადასტურების მომენტიდან. აღნიშნული ფორმით გარიგების დადასტურება არ შეიძლება გახდეს სადაო მატერიალურ დოკუმენტზე ფიზიკური ხელმოწერის არარსებობის გამო.
- 4.9. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით, ან ელექტრონული ფოსტით, ან ინტერნეტ-ბანკით, ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ან სატელეფონო ზარის მეშვეობით მეშვეობით.
- 4.10. ბანკის საზედამხებდებლო ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი. მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1.
- 4.11. მსესხებელი აცხადებს, რომ გაეცნო ბანკის ფილიალში/ვებ-გვერდზე პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პირობებს და თანხმობას აცხადებს, საჭირო მოცულობით, მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.
- 4.12. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია მხარეებს შორის ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ინახება ბანკში, ხოლო მეორე გადაეცემა მხარე(ებ)ს.

მუხლი 5.

- 5.1. გადახდისას პირველ რიგში იფარება საკომისიოები, გადახდის ვადის გადაცილების გამო დაკისრებული პირგასამტეხლო, შემდეგ დარიცხული პროცენტები და ბოლოს კრედიტის თანხა. აღნიშნული რიგითობა ბანკის შეხედულებისამებრ შეიძლება შეიცვალოს.
- 5.2. მთელი კაპიტალის ან ნაწილის ვადამდე დაფარვისას პირველ რიგში დაიფარება ვადაზე ადრე დაფარვის დღისათვის დარიცხული პროცენტი სრულად.
- 5.3. გადახდის ვადის დადგომისას, ასევე გადახდის ვადის გადაცილებისას, ბანკი უფლებამოსილია მოახდინოს საბანკო პროდუქტისა და მასზე დარიცხული პროცენტების, ასევე ნებისმიერი სხვა გადასახდელებისა და პირგასამტეხლოს/ჯარიმების დაფარვა მსესხებლის მიმდინარე ანგარიშებზე, მსესხებლის შემნახველი ანაბრის ანგარიშებზე, სადეპოზიტო ანგარიშზე (გარდა ვადიანი დეპოზიტისა, თუ სესხი არ არის უზრუნველყოფილი ვადიანი დეპოზიტით) და/ან მის სხვა ნებისმიერი სახის/ტიპის ანგარიშებზე არსებული თანხების, მათ შორის მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე დაშვებული ოვერდრაფტის თანხიდან (აუთვისებელი ნაშთიდან), უაქცეპტოდ/მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოჭრის გზით. ამასთანავე, თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაჭრელი თანხა განსხვავდება ვალდებულების ვალუტისაგან, ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის ხარჯზე მოახდინოს ერთი სავალუტო

ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად. ბანკი ასევე უფლებამოსილია უპირობოდ, მსესხებლის დამატებითი დავალების/თანხმობის გარეშე, ჩამოწეროს სააგენტოსგან/კორპორაციისგან მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხული თანხები და მიმართოს იგი ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

5.4. მსესხებელი თანახმაა, რომ ბანკმა იძულებითი გადახდევინება მიაქციოს მსესხებლის და ან სოლიდარული თავდების კუთვნილ ნებისმიერ (მათ შორის არაუზრუნველყოფილ) ქონებაზე. ამასთან მსესხებლის მიმართ არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით იძულებითი აღსრულება თავდაპირველად შეეხება უზრუნველყოფის საგნებს, ხოლო თუ არ დაიფარება დავალიანება სრულად, შემდეგ მსესხებლის/სოლიდარული თავდების კუთვნილ სხვა ნებისმიერ ქონებას.

5.5. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა (ან შეუსაბამობა ამ ხელშეკრულებების პირობებთან) ანიჭებს ბანკს უფლებას მიიღოს დაკმაყოფილება წინამდებარე ხელშეკრულების 3.6.-ე პუნქტში მითითებული ხელშეკრულებების საფუძველზე (რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

5.6. თუ იპოთეკის/გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა არ არის საკმარისი იპოთეკით/გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარად, მხარეები თანხმდებიან, რომ ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა არ ჩაითვლება სრულად დაკმაყოფილებულად, არამედ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად მხოლოდ იმ ნაწილში, რასაც გასწვდება იპოთეკის/გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა.

მუხლი 6.

6.1. ბანკი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, მოითხოვოს ყველა გაცემული კრედიტის ვადამდე დაფარვა, დარიცხული პროცენტის და პირგასამტეხლოს გადახდა, აგრეთვე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ხოლო მსესხებელი ვალდებულია შეასრულოს აღნიშნული მოთხოვნები, თუ:

6.1.1 დაირღვა კრედიტის დაფარვისთვის განსაზღვრული ვადა ან კრედიტის მიზნობრივად გამოყენების პირობა;

6.1.2 არ შესრულდა ამ ხელშეკრულებით, ასევე უზრუნველყოფის ან/და თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის მესამე პირების მიერ;

6.1.3 გაუარესდება მსესხებლის ან სოლიდარული თავდების ქონებრივი/ფინანსური მდგომარეობა (მათ შორის ჩამოერთმევა ქონება, ან შეეზღუდება სარგებლობის უფლება), ან შეიქმნება ასეთი საშიშროება და მსესხებელი არ წარმოადგენს დამატებით უზრუნველყოფის საშუალებას;

6.1.4 მსესხებლის მიზანია ბანკის მოტყუება ან ბანკს მიეწოდა მსესხებლის ვალდებულებების, სამეურნეო და/ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი/არასწორი ცნობა, კრედიტის მიღების, ოდენობის გაზრდის და/ან შეღავათიანი პირობებით მიღებისათვის.

6.1.5 თუ რაიმე მიზეზით ვადამდე დაირღვა მსესხებლის ან სოლიდარული თავდების კუთვნილი, ბანკში გახსნილი ანაბარი;

6.2. (ამოღებულია)³² (ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით.)³³

მუხლი 7.

7.1. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების დადების ადგილია დასავლეთ საქართველო, სადაც მოიპოვება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის, სამეგრელო, ზემო სვანეთის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა (მათ შორის და არამხოლოდ დავა დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, მოშლის, შეწყვეტის, ბათილობის, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, მისი ნამდვილობის და შეწყვეტის შესახებ), განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შემდეგი წესით:

7.1.1. დავას განიხილავს და წყვეტს შპს „არბიტრაჟის სახლი“ (საიდ. კოდი: 411322359);

7.1.2. თუ საარბიტრაჟო სარჩელის/შუამდგომლობის წარდგენის მომენტში, ზემოხსენებული არბიტრაჟი იქნება ლიკვიდირებული ან შეჩერებული/შეწყვეტილი ექნება ფუნქციონირება, ან უარს განაცხადებს დავის განხილვაზე, დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტს“ (საიდ. კოდი: 205273005);

7.1.3. ამასთან, წინამდებარე საარბიტრაჟო შეთანხმებით, მხარეები ვთანხმდებიან, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დავის განხილვის ადგილია ქალაქი ქუთაისი.

³² თუ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განხილვა გადაეცემა არბიტრაჟს;

³³ თუ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განხილვა გადაეცემა სასამართლოს;

7.1.4. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის/შუამდგომლობის წარდგენის მომენტში, ზემოხსენებული არბიტრაჟები იქნება ლიკვიდირებული ან შეჩერებული/შენწყვეტილი ექნებათ ფუნქციონირება, ან უარს განაცხადებენ დავის განხილვაზე, დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით.

7.1. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების დადების ადგილია აღმოსავლეთ საქართველო, სადაც მოიაზრება ქალაქი თბილისი, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის ტერიტორია, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა (მათ შორის და არამხოლოდ დავა დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, მოშლის, შეწყვეტის, ბათილობის, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, მისი ნამდვილობის და შეწყვეტის შესახებ), განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შემდეგი წესით:

7.1.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით დადგენილი კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა ტოლია ან ნაკლებია 500 000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარზე (ან ექვივალენტი ნებისმიერ სხვა ვალუტაში), დავას განიხილავს და წყვეტს შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი“ (საიდ. კოდი: 205273005), ხოლო თუ მეტია დავას განიხილავს და წყვეტს შპს „დავების განმხილველი ცენტრი“ (საიდ. კოდი: 204547348).

7.1.2. თუ საარბიტრაჟო სარჩელის/შუამდგომლობის წარდგენის მომენტში, საქმის განმხილველი რომელიმე არბიტრაჟი (მაგ: შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი“) იქნება ლიკვიდირებული ან შეჩერებული/შენწყვეტილი ექნება ფუნქციონირება, ან უარს განაცხადებს დავის განხილვაზე, დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა მეორე არბიტრაჟს და პირიქით.

7.1.3. ამასთან, წინამდებარე საარბიტრაჟო შეთანხმებით, მხარეები ვთანხმდებიან, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დავის განხილვის ადგილია ქალაქი თბილისი.

7.1.4. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის/შუამდგომლობის წარდგენის მომენტში, ზემოხსენებული არბიტრაჟები იქნება ლიკვიდირებული ან შეჩერებული/შენწყვეტილი ექნებათ ფუნქციონირება, ან უარს განაცხადებენ დავის განხილვაზე, დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით.

დანართი: N1

კრედიტის დაფარვის გრაფიკი

წინამდებარე გრაფიკში მოცემული მონაცემები მოქმედია საპროცენტო განაკვეთის, ინდექსის ან სხვა ფინანსური ხარჯების ცვლილებამდე

გაცემის თარიღი: --.--.20--
საპროცენტო განაკვეთი: --.-- % წლიური;
სესხის თანხა: -----.-- ლარი (თანხა სიტყვიერად) ;

სესხის გრაფიკის ველების დასახელება

#	თარიღი	დღე	შენატანი (ჯამი)	კლიენტის შენატანი	ძირი	პროცენტი (ჯამი)	სააგენტოს/კორპორაციის პროცენტი	კლიენტის პროცენტი	დაგროვილი %-ის წილი	დარჩენილი დაგროვილი პროცენტი	საღდო
---	--------	-----	--------------------	----------------------	------	--------------------	-----------------------------------	----------------------	------------------------	------------------------------------	-------